ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 06 04 2020 წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 4

საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის, „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილების, „COVID 19 ვირუსის პრევენციის მიზნით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის და დროებითი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2020 წლის 12 მარტის №9 ბრძანების და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების (რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით) და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოქმედი წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელების წესი“ დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება გასაცნობად და მათთვის განკუთვნილი ამოცანების შესასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და თანამდებობის პირს.

3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ბრძანების განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი,
პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**

დანართი

საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დისტანციური წესით განხორციელების წესი“ (შემდეგში - წესი) შემუშავებულია „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის, „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილების, „COVID 19 ვირუსის პრევენციის მიზნით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის და დროებითი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2020 წლის 12 მარტის №9 ბრძანების და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების (რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით) შესაბამისად და განსაზღვრავს დისტანციური სასწავლო პროცესის (შემდეგში - სასწავლო პროცესი) ორგანიზების, ადმინისტრირების და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს.

2. წესის მიზანია, უზრუნველყოს ალტერნატიული, დისტანციური, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს განვითარება, რომელშიც დაცულია პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები და ინფორმაციული უსაფრთხოება.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის განხორციელების პრინციპები

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) სასწავლო პროცესის დისტანციურად, სინქრონული ონლაინ კურსების გზით წარმართვას, რაც სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, სასწავლო პროცესი განახორციელონ სხვადასხვა ადგილმდებარეობიდან, ინტერაქტიური ვიდეო კონფერენციების გამოყენებით;

ბ) სტუდენტთა სრულფასოვანი სწავლების და სრულფასოვანი ონლაინ შეფასების განხორციელების მიზნით, სწავლების და/ან შეფასების მეთოდების გადახედვას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;

გ) სასწავლო რესურსების და მასალების გაციფრულებას და დისტანციურ სწავლებასთან ადაპტირებას;

დ) თითოეული სტუდენტის შესაძლებლობას, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენონ სწავლის პერსონალიზირებული და მოქნილი განრიგი, რომელიც საშუალებას მისცემთ მათ, სასწავლო პროცესთან კავშირი ჰქონდეთ მათთვის ხელსაყრელი ადგილიდან, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლონ ონლაინ საინფორმაციო წყაროებით, მათ შორის, საკონტაქტო საათების ჩანაწერებით, რათა სტუდენტებს შეძლებისდაგვარად ხშირად ჰქონდეთ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის საშუალება;

ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობას;

ვ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და განხორციელებას;

ზ) სტუდენტთა სრულ ინფორმირებას სასწავლო პროცესის განხორციელების და შეფასების სისტემის და მეთოდების შესახებ;

თ) პროცესში ჩართული მხარეების მხარდაჭერას შერჩეული ონლაინ პლატფორმის გამოყენების ინსტრუქციების შემუშავების გზით;

ი) დაინტერესებული მხარეების კონსულტირებას, მათ შორის, ინტერნეტში ქცევის წესების და კიბერ უსაფრთხოების შესახებ;

კ) პერსონალსა და სტუდენტებს შორის ონლაინ საკომუნიკაციო სივრცეების შექმნას და გამოყენებას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება კარგი პრაქტიკების გაზიარება.

2. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, ამ წესთან ერთად გამოიყენება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

მუხლი 3. სტუდენტთა რეგისტრაცია

1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველო უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრით და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას სასწავლო პროცესში, რეგისტრაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

2. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა და ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და აღნიშნულ პროცესში სტუდენტთა ჩართვას.

3. საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტის სასწავლო პროცესის ჩართვის შემთხვევაში, მისთვის სრულად უნდა იქნეს ხელმისაწვდომი სასწავლო მასალები და რესურსები, ამასთან, ლექტორები უზრუნველყოფენ მათ დამატებით კონსულტირებას, სასწავლო პროცესთან ადაპტაციის მიზნით.

მუხლი 4. სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა

1. სასწავლო კურსების განმახორციელებელმა პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ სტუდენტთა წახალისებაზე, ჰქონდეთ აქტიური როლი სასწავლო პროცესში.

2. სასწავლო პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს მოქნილი სასწავლო საშუალებები და პედაგოგიური მეთოდების მრავალფეროვნება, რაც თითოეულ სტუდენტში ხელს შეუწყობს ავტონომიურობის შეგრძნების განვითარებას.

3. სასწავლო ცხრილით გათვალისწინებული ყოველი საკონტაქტო საათის მიმდინარეობისას პროფესორ-მასწავლებლები უზრუნველყოფენ საკონტაქტო საათის მიმდინარეობის ჩაწერას და უნივერსიტეტის ვიდეო საცავში მათთვის გამოყოფილ ადგილზე ატვირთვას.

4. პირდაპირი ინტერაქციის ნაკლებობის თავიდან ასაცილებლად, პროფესორ-მასწავლებლებმა და კოორდინატორებმა ხელი უნდა შეუწყონ ინტერნეტით და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით სტუდენტების ხშირ კონტაქტს, ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შექმნან ონლაინ სადისკუსიო ჯგუფები და ხელი შეუწყონ სტუდენტთა ინტერაქციას სხვადასხვა თემის გარშემო.

5. სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ელექტრონული რესურსების მიზნობრივად გამოყენებისათვის, უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ მკაფიო ინსტრუქციების შემუშავება სტუდენტებისათვის.

6. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში არსებული საშუალებების ელექტრონულად ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის.

7. სასწავლო პროცესის პარალელურად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სტუდენტთა კონსულტირება პროფესორ-მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით.

8. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური სკოლების დეკანებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ლექტორებთან კომუნიკაციით უზრუნველყოფს იმ სასწავლო კომპონენტების გამოვლენას, რომლებიც თავისებურების გამო საჭიროებენ განსაკუთრებულ ხელშეწყობას (ლაბორატორიული სამუშაოები და სხვა) და ადაპტირების პროცესში საჭირო კონსულტირებას და სხვა სახის აუცილებლ მხარდაჭერას.

მუხლი 5. სასწავლო პროცესის განხორციელების ტექნიკური უზრუნველყოფა

5. უნივერსიტეტში დისტანციური სწავლება ხორციელდება ონლაინ პლატფორმის (Zoom Video Communications, Inc) მეშვეობით. პარალელურ რეჟიმში უნივერსიტეტი ახდენს სხვა ანალოგიური პლატფორმების კვლევას, საჭიროების შემთხვევაში, სათადარიგო მიზნით გამოყენებისთვის.

6. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის და ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლები უზრუნველყოფენ კოორდინატორების ჩართვით ონლაინ სამუშაო ჯგუფების შექმნას და მუშაობის ხელშეწყობას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩართვას სამუშაო ჯგუფებში.

7. უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახური, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში,

უზრუნველყოფს დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგს, ხარვეზების აღმოჩენის და აღმოფხვრის მიზნით და უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების კონსულტირებას, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 6. სასწავლო პროცესის განხორციელების მონიტორინგი

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველო უზრუნველყოფს დაგეგმილი ცხრილის შესაბამისად საკონტაქტო საათების ონლაინ რეჟიმში ჩატარების უწყვეტ მონიტორინგს და ზედამხედველობას უწევს გაცდენილი საკონტაქტო საათების აღდგენას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 7. უსაფრთხოების პოლიტიკა და პერსონალური მონაცემების დაცვა

1. სწავლის წარმართვის პროცესში სტუდენტებთან კომუნიკაცია ხორციელდება მათი პირადი სივრცის პატივისცემის პრინციპის დაცვით.

2. სასწავლო პროცესის განხორციელების პროცესში დაცული უნდა იქნეს საავტორო უფლებები და პერსონალური მონაცემები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათ შორის, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროცესში ჩართული პირების თანხმობის გამოხატვის შესაძლებლობა.

3. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამუშაო პროცესში „ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მართვის პოლიტიკისა და პროცედურების" და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გამოყენებას.

მუხლი 8. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა

1. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის მიერ (ENQA) მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებას (2018).

2. საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც მოახდენს უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასებას, საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას და პროცესის გასაუმჯობესებლად მის გამოყენებას, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში დაინტერესებული პირების (სტუდენტები, პროფესორ- მასწავლებლები, კოორდინატორები და სხვა) ჩართულობით.